ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N7

ქ. ლანჩხუთი **22.11.2019 წ**

12.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე.**

კომისიის წევრები: ოთარ პატიეშვილი, ლელა ჩახვაძე, კახა ბოლქვაძე, ცისანა ურუშაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ელისო ჭიჭინაძე, აკაკი იმნაიშვილი, ზაზა წულაძე, ბესიკ კუპრაძე, რეზო კვაჭაძე, ემზარ თევდორაძე, ვენე კვირკველია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: იოსებ ჩხაიძე, კახა თედორაძე, ირაკლი მარშანიშვილი, ამირან ქანთარია.

მოწვეული სტუმარები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) **ნინო ძიძიგური,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე.**

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გ. გვარჯალაძე/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გ. გვარჯალაძე/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 13; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** აღნიშნა, რომ 2020 წლის მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება;

2. განათლება;

3. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

5. დასუფთავება და გარემოს დაცვა.

აქვე აღნიშნა, რომ სამწუხაროდ დაზუსტებული არ არის 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალი ამიტომ ამ მხრივ პრიორიტეტები დოკუმენტში მხოლოდ ზოგადადაა წარმოდგენილი. ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალის დაზუსტება ჩემი ინფორმაციით მოხდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა გამოთქვა შემდეგი შენიშვნები: კომისია ითხოვს, რომ პრიორიტეტების დოკუმენტში აისახოს ერთი ერთეული გრეიდერის და ექსკავატორის შეძენის თანხები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს; მომხრე:13, წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე წლის შემოსავლების მობილიზაციის საკითხი და წინა ორი წლის ფაქტობრივი მდგომარეობა. ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10 030,6 ათასი ლარით. ამათგან გადასახადები შეადგენს 8 796, 4 ათას ლარს, გრანტები 220 000 ლარს, ხოლო სხვა

შემოსავლები შეადგენს 1 014 2 ათას ლარს, წინა წლებისაგან განსხვავებით 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლებში არ აისახება საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მთლიანად მიიმართება ცენტრალურ ბიუჯეტში. ასევე გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი და მის ნაცვლად ადგილობრივ ბიუჯეტებში მიიმართება დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც შეადგენს 7 496,4 ათას ლარს აღნიშნული ცვლილებები მიღებულია ქვეყნის პარლამენტის მიერ. ქონების გადასახადი რომელიც ასი პროცენტით შევა ადგილობრივ ბიუჯეტში, შეადგენს 1 300 000 ლარს. 220 000 ლარი წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. სხვა შემოსავლები შეადგენს 1 014,2 ათას ლარს. მათგან 750 000 ლარი შეადგენს შემოსავლებს ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავეებიდან. როგორც აღვნიშნე პირველი საკითხის განხილვისას ამ ეტაპისთვის ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების დადგენილი არ არის, მათი დადგენის შემდეგ ადგილობრივ ბიუჯეტში ასახული იქნება კაპიტალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ბუნებრივია როცა ასე შეზღუდულები ვართ შემოსავლების მხრივ, შეზღუდულები ვართ ხარჯების მხრივ. თუმცა ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ა.(ა).ი.პ.-ების დაფინანსების შენარჩუნება ძირითადად 2019 წლის დონეზე, მცირე მატების ფონზე, რომლის თაობაზეც ინფორმირებულია საკრებულოს წევრები.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

დეპუტატმა **სპარტაკ კვაჭაძემ** გამოთქვა შენიშვნა საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

დეპუტატმა **ლელა ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ვინაიდან მოხსნილია სახელფასო ლიმიტის ჭერი, ამიტომ გაეზარდოს ხელფასი საკრებულოს თავმჯდომარეს და შემდეგ ეტაპობრივად მოხდეს სხვა თანამდებობის პირების ხელფასის გაზრდა.

საკრებულოს კომისია დაეთანხმა კომისიის წევრის **ელისო ჭიჭინაძის** შენიშვნას, რომ რელიგიის ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული გვაქვს 40 ათასი ლარი, გაურკვეველია რაში იხარჯება და ეს თანხა ჩაიდოს სოლიდარობის ფონდში ან უმჯობესია აღნიშნული თანხა გადაეცეს სოციალურად დაუცველ პირებს. ასევე გამოითქვა შენიშვნა საბავშვო ბაღებში ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით.

სადაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიას** თქმით საბავშვო ბაღებში სექტემბრიდან განხორციელდება ხელფასების მატება.

საკრებულოს წევრმა **ლელა ჩახვაძემ** გამოთქვა შენიშვნა მუნიციპალიტეტში არსებულ მუზეუმებთან დაკავშირებული აუდიტის ჩანაწერის მიმართ რადგან იგი დაწერილია ადგილზე სამუზეუმო ფონდების დათვალიერების გარეშე, დაუდგენელი პირის ზეპირი მონათხრობის საფუძველზე. ამიტომ მუზეუმების ფუნქციონირებას მომავალ საბიუჯეტო წელს პრობლემები არ უნდა შეექმნეს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნები.

კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;
მომხრე:13, წინააღმდეგი: არცეროი.

3. სხვადასხვა.

1. დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა განაცხადა, რომ აღსადგენია ყოფილი ყველკარაქის ქარხნის წინ არსებული ინფრასტრუქტურული კომპოზიცია, რომლთაც მრავალი მგზავრი სარგებლობდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ლევან ჩხაიძის თქმით ქალაქის შემოსასვლელიდან და გვიმზალაურის ჩათვლით მომავალ წელს იწყება ტროტუარების, გარე განათების და გამწვანების მოწესრიგება.
2. დეპუტატმა ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ სოფ. ჩოლოზარგში თენგო გოგუაძის უბანში მოსაწესრიგებელია გზა ბეტონით და სანიაღვრე არხით, ასევე გია ფირცხალაიშვილის უბანში მოსაწესრიგებელია სასაფლაოსთან მისასვლელი 150 გრძივი მეტრი ბეტონის გზა.
3. დეპუტატმა ზაზა წულაძემ განაცხადა, რომ ვითხოვ სოფ. ჭყონაგორაში ჯიხეთის გზის 2018 2019 წლებში შესრულებული სამუშაოების მოკვლევას

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N7

ქ. ლანჩხუთი 22.11.2019 წ.
12.00 საათი

2019 წლის 22 ნოემბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შენიშვნებით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შენიშვნებით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ჯვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სარეგისტრაციო ფურცელი

22.11.2019 წ.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	12-55	
2.	ცისანა ურუშაძე	12-55	
3.	კახა ზოლქვაძე	12-58	
4.	ზესიკ კუპრაძე	12-55	
5.	ოთარ პატიეშვილი	13	
6.	სპარტაკ კვაჭაძე	12-58	
7.	ლელა ჩახვაძე	12-58	
8.	ზაზა წულაძე	12-55	
9.	რეზო კვაჭაძე	12-55	
10.	კახა თედორაძე	—	
11.	იოსებ ჩხაიძე	—	
12.	ამირან ქანთარია	—	
13.	აკაკი იმნაიშვილი	12-55	
14.	ალისა ჯიჭიანაძე	12-55	
15.	ირაკლი მარშანიშვილი	—	
16.	ემზარ თევდორაძე	13	
17.	ვენე კვირკველია	12-58	